

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრანტ გიორგი ვაჩნაძის

სამაგისტრო ნაშრომი

რასიზმის თემა ჯოზეფ კონრადის „წყვედიანის გულში“ ჩინუა აჩებეს
პოზიციის შუქზე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე

სრული პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

ქართულენოვანი ანოტაცია.....	3
ინგლისურენოვანი ანოტაცია.....	4
შესავალი.....	5

პირველი თავი

1.1 რასიზმის ფენომენი.....	8
1.2 რასიზმის ისტორიული საფუძვლები.....	9
1.3 რასიზმი XIX საუკუნის აფრიკაში.....	12
1.4 რასიზმი ბრიტანულ ლიტერატურაში.....	17

მეორე თავი

2.1 ჩინუა აჩებს პოზიცია.....	21
2.2 ჩინუა აჩებს არგუმენტები.....	24
2.2 კონრადის მიერ კოლონიალიზმის კრიტიკა.....	35

დასკვნა.....	41
--------------	----

ბიბლიოგრაფია.....	44
-------------------	----

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს განიხილოს აფრიკელი მწერლისა და ესეისტის, ჩინუა აჩებეს პოზიცია ჯოზეფ კონრადის “წყვდიადის გულთან” მიმართებაში, კრიტიკულად შეაფასოს მის მიერ მოყვანილი არგუმენტები ნაწარმოების რასისტულ ბუნებასთან დაკავშირებით და მოიყვანოს კონტრარგუმენტები კონრადის დასაცავად.

რასიზმის პრობლემაზე კონტექსტის შესაქმნელად, პირველ თავში მოყვანილია რასიზმის ფენომენის მიმოხილვა, მისი დეფინიცია და ისტორიული საწყისები. განხილულია, ასევე, რასიზმის ფენომენის განსაკუთრებული გამწვავება კოლონიზაციის ხანაში, რომლის დროსაც ვითარდება “წყვდიადის გულის” მოვლენები. ასევე, მოკლედ განხილულია, თუ როგორ აისახებოდა რასიზმის ფენომენი კოლონიზაციის პერიოდის ევროპულ ლიტერატურაში და მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, რომელიც ფონს ქმნის ნაშრომის შემდეგ ნაწილში განსახილველი პრობლემისთვის.

მეორე თავი ეთმობა ჩინუა აჩებეს მიერ თავის წერილში მოყვანილი არგუმენტების ანალიზსა და მათ შეპირისპირებას თავად “წყვდიადის გულთან.” განხილულია ორივე ტექსტის პასაჟები და მოყვანილია კონტრარგუმენტები კონრადის პოზიციის დასაცავად. მეორე თავი იყოფა ორ ნაწილად - პირველში განიხილება უშუალოდ რასიზმთან დაკავშირებული არგუმენტები და პასაჟები, ხოლო მეორეში ჩემი შეხედულების გასამყარებლად, მოყვანილია ტექსტში არსებული ანტიკოლონიალისტური დამოკიდებულების ამსახველი მაგალითები.

ნაშრომში გამოყენებული ორი ძირითადი ტექსტის, აჩებეს წერილისა და კონრადის “წყვდიადის გულის” გარდა, პოზიციის გასამყარებლად მოყვანილია ციტატები რიგი ავტორების სტატიებიდან, რომლებიც ამ საკითხს ეხება.

შესაჯამებლად, ვთვლი, რომ არგუმენტირებულად და კონსტრუქციულად შევძელი ჩემი პოზიციის გადმოცემა და იმ პოზიციის დაფიქსირება, რომ კონრადი რასისტი არ არის.

Abstract

This thesis aims to discuss the position of an African writer and essayist, Chinua Achebe, regarding racism in Joseph Conrad's *Heart of Darkness*, critically evaluate given arguments and attempt to dispute them, ultimately trying to prove that Conrad is not, in fact, racist.

To offer context regarding the issue of racism, the first chapter touches upon the phenomenon of racism, its definition and historical origins. The acute rise of racism during the colonial era, during which *Heart of Darkness* takes place, is also discussed. Additionally, the thesis touches upon the subject of literary depiction of racism in said period and offers some examples. This aims to create a solid foundation for the discussion to follow.

The second chapter is dedicated to analyzing the arguments offered by Chinua Achebe his essay and bringing up certain passages from *Heart of Darkness* to dispute them. This chapter is split in two parts: the first deals directly with the accusations of racism and quotes the passages from the text that prove otherwise, while the second, to add credibility to the claim, discusses the passages that underline Conrad's anti-colonial thinking and position.

Other than the two main works used in this thesis, meaning Achebe's essay and Conrad's *Heart of Darkness*, there are multiple quotations from the publications and essays of various authors, used to strengthen the position and outline similar ways of thinking exhibited elsewhere.

To summarize, I think, that I was able to constructively dispute Achebe's claims and defend my pro-Conrad position. Ultimately, the thesis argues that Conrad is not racist.